რუკების შედარება (აქტივობა)

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

აქტივობის მიზანი - მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ორი ეპოქის რუკას.

აქტივობა სასურველია, ჩავატაროთ ინდივიდუალურად. ასევე, შესაძლებელია დავალება მივცეთ როგორც წერით, ასევე ზეპირად შესასრულებლად.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია VIII - XI კლასის მოსწავლეებისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ორი რუკა. პირველი მათგანი თანამედროვეა, ხოლო მეორე ეკუთვნის სამხრეთნიდერლანდელ (ფლამანდრიელ) კარტოგრაფს აბრაჰამ ორტელიუსს (1527 - 1598), რომელმაც პირველი თანამედროვე ტიპის გეოგრაფიული ატლასი შექმნა. რუკა, რომელიც წარმოდგენილია თქვენ წინაშე, 1570 წელს შეიქმნა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ რუკაზე დატანილი ავსტრალია და ანტარქტიდა ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. ამიტომ ანტარქტიდის არსებობა და სანაპიროს მოხაზულობა მთლიანად კარტოგრაფის ფანტაზიის ნაყოფია.

დავალება:

შეადარეთ ერთმანეთს ორი რუკა და პასუხი გაეცით დასმულ შეკითხვებს:

1. დაასახელეთ ყველა კონტინენტი, რომელიც ორტელიუსის და თანამედროვე რუკებზეა აღბეჭდილი.
2. ჩამოწერეთ, რაც შეიძლება მეტი მსგავსება ამ ორ რუკას შორის.
3. ჩამოწერეთ, რაც შეიძლება მეტი განსხვავება ამ ორ რუკას შორის.
4. რა დამატებითი ინფორმაციაა მოცემული თანამედროვე რუკაზე, რაც არ გვხვდება ორტელიუსის რუკაზე?
5. რა განსხვავებაა ამ ორ რუკას შორის დიზაინის თვალსაზრისით?
6. როგორ შეიძლება რუკების მიხედვით ვიმსჯელოთ იმ დროინდელ ადამიანთა ცოდნაზე და ინტერესებზე?

   საპრიზო შეკითხვა:

7. *რა შეიძლება გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ უცნობი ანტარქტიდა ორტელიუსმა რუკაზე დაიტანა?*

თანამედროვე მსოფლიო რუკა

ნიდერლანდელი კარტოგრაფის - აბრაჰამ ორტელიუსის (1527 - 1598) რუკა